ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 1
09/01/2017

1-04-4-201701091614

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიერ სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 06 დეკემბრის №83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიერ სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 06 დეკემბრის №83 განკარგულებაში შეტანილი იქნას ცვლილება და განკარგულების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს აიღოს სესხი არა უმეტეს 271 722 (ორას სამოცდათერთმეტი ათას შვიდას ოცდაორი) ლარის ოდენობით, სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდიდან.“

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე